ცნობის ფურცელი

№ 2611 | სამშაბათი, 14 სექტემბერი | 1896—1904 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 9

გაზეთი ღირს: წელიწადში—8 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე[illegible]—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. [illegible]-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში [illegible]იდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე მოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი [illegible]

დღესასწაულისა გამო „ცნობის ფურცლის“ შემდეგი №-რი გამოვა ხუთშაბათს, 16 სექტემბერს

ოლღა გაბრიელის ასული, მაკრინე გიორგის ასული და გრიგოლ კონსტანტინეს ძე გუგუშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—მეუღლისა, მეორე—შვილის, ხოლო მესამე ძმისა

რომან კონსტანტინეს ძის გუგუშვილისას.

დასვენება 14 სექტემბერს, 4 საათზე.

(2—6.—2)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9\frac{1}{2}$—$10\frac{1}{2}$ ს.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 0—11 საათ.

ლ. ი. კამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.

ლ. ი, კიმონტი.—ხირურგია $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—2 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

[illegible] მ. ხოზოლიშვილი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. [illegible]—3 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

[illegible] მ. ხოზოლიშვილი.—ხირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

[illegible] ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევის და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში მყოფნი ავადმყოფები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б. [illegible]) ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
[illegible]ღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ვისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 791.

კბილის ექიმი
ი. ზ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—11)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლში № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7. კვირაობით 9—12 საათამდე. (30—6.—14)

ე ქ ი მ ი
[illegible] ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე
გადავიდა ბარონის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის [illegible]ტოგრაფიის ზემოდ. იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. (0—24)

პ ა ნ ს ი ო ნ ი
[illegible]ვლის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.
[illegible]ალექსანდრე გიორგის ძე
[illegible]ორზაშვილისა.
[illegible]ებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემზომრო სასწავლებელში. (150—218—38)

უცხო სიტყვათა
ლექსიკონი
შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ. ფასი ერთი მანეთი, გაგზავნით ექვსი აბაზი. ისყიდება გამომცემელთან, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. მისამართი: Тифлисъ, книж. торг. Іос. Зах. Имедашвили.
(5—3)

ე ქ ი მ ი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულის და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 825. (90—295—7)

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 სექტემბერი

ხარბინი, 11 სექტემბერი. როგორც მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, ხუნხუზთა რაზმი, 30 კაცისაგან შემდგარი, დაეცა რუსის საზღვრის მოდარაჯე რაზმს სოფელ სუტალიანძში. ერთი სალდათი დაიჭრა. ხუნხუზთა წინააღმდეგ ჩდევარი გაიგზავნა.

პორტ-საიდი, 11 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). კრეისერებმა „პეტერბურგ“-მა და „სმოლენსკ“-მა იშუამდგომლეს, ნება მიეცეთ მიიღონ ლიბავამდე სამყოფი ნახშირი და სურსათი. გემებს ამ შუამდგომლობაზე უარი გამოეცხადათ. ეხლა კრეისერები ელიან მეორე შუამდგომლობის პასუხს, ნება მიეცეთ წაიღონ ბიზერტამდე სამყოფი ნახშირი და სურსათი. კრეისერები პორტ-საიდიდან 24 საათში უნდა წავიდნენ. საღამოთი კრეისერების უფროსები და ინგლისის კრეისერის „ფურიუზ“-ის აფიცრები ერთმანეთთან იყვნენ სადარბაზოდ. „ფურიუზ“-ს ებრძანა, ყოველ წუთს მზად იყოს ზღვაში გასასვლელად. არ იციან, სად წავა ეს კრეისერი.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს იმპერატორებით უდიდებულესობას 11 სექტემბერს: „11 სექტემბერს ჩვენ ჯარში ცვლილება არ მომხდარა. ამ რამდენისამე დღის წინად მოულოდნელად სიცივეები დაიჭირა და ტემპერატურა ღამე 1 გრადუსამდე ჩამოვიდა (სითბო). გუშინდლიდან ხელ-ახლა დათბა. სანიტარის მხრივ ჯარი კარგ მდგომარეობაშია. ზემოდ აღნიშნულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას“.

პორტ-საიდი, 12 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). „სმოლენსკ“-მა და „პეტერბურგ“-მა დასტოვეს ნავთ-სადგური. „სმოლენსკ“-ს მისცეს ნება დაეტვირთა 350 ტონნა ქვანახშირი, „პეტერბურგ“-ს-კი—100 ტონნა. კრეისერების უფროსებმა გამოაცხადეს, ლიბავაში მივდივართო.

მადრიდი, 11 სექტემბერი. როცა კრეისერმა „ტერეკ“-მა გაიგო, რომ ინგლისელთა გემი „კირკუალ“-ი ვიგოდან გავიდა, დასტოვა ლასპალმასი და ჩრდილოეთისკენ გაემართა. ხმებია, ინგლისელთა გემს იაპონელებისათვის სამხედრო კონტრაბანდა მიაქვსო.

ვლადივოსტოკი, 12 სექტემბერი (საკუთ. კორესპ.). დღე-ღამის გასწორების დროს ზღვაზე დიდი ქარიშხალი ასტყდა და დააზარალა ჩინელთა გემები. კარგი საშემოდგომო დარი დადგა. 11 სექტემბერს ჩინელებმა სავსე მთვარის დღესასწაული გადაიხადეს. ხმები იყო, აქაური ჩინელები ამ დღესასწაულის გამო ვაჭრობასა და მუშაობას თავს დაანებებენ და ქალაქიდან გადაიხიზნებიანო, მაგრამ ეს ხმები უსაფუძვლო გამო[illegible]ლები ჩვეულებრივად ვაჭრობენ და [illegible] ყველგან.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომლის ანგარიშით, გენ. კუროკის ამ ჟამად 151 ათასი კაცი ჰყავს და 372 ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი აქვს; გენ. ოკუს 125 ათასი კაცი ჰყავს და 262 ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი აქვს; გენ. ნოძუს 89 ათასი კაცი ჰყავს და 320 ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი აქვს; ასე რომ იაპონელებს მანჯურიაში ამ ჟამად 365 ათასი კაცი ჰყავთ და 1,054 ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი აქვთ. ამბობენ, მალე მარშალ ოიამას კიდევ მოუვა მაშველი ჯარი—65 ათასი კაცი—და სულ 430 ათასი კაცი ეყოლებაო. გენ. კუროპატკინს კი სულ 330 ათასი კაცი ჰყავს მანჯურიაში. იაპონელებს პორტ-არტურთანაც 3 დივიზია ქვეითა ჯარი და 1 საარტილერიო ბრიგადა ჰყავთ. („რ. ვ.“).

ინგლისურ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ მუკდენიდან: იაპონელები რუსის ჯარის ორსავ ფრთის მოვლას აპირობენ. რუსის მოწინავე რაზმები მუკდენიდან 32 კილომეტრის მანძილზე დგანან. ყველაფრიდან სჩანს, რომ მუკდენის მიდამოებში ახალი საშინელი ბრძოლა მოხდებაო.

„დეილი მეილ“-ს დეპეშით ატყობინებენ მუკდენიდან: ჰფიქრობენ, რომ მდინარე ხუნხეს ნაპირას, ვაკე ადგილას დიდი ბრძოლა მოხდება და ეხლანდელ ომის საქმე საბოლოოდ გადასწყდებაო. ამ ბრძოლას, ეტყობა, ლიაოიანის ბრძოლაზე უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებაო. („ნ. დ.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი 6 სექტემბერს დეპეშით იუწყება მუკდენიდან: იაპონელებმა ლიაოიანიდან ჩრდილოეთისაკენ გამოილაშქრეს. მოწინავე რაზმები მდინარე ხუნხეს ახლო დგანან. რა ხდება ამ მოწინავე რაზმებს უკან,—ამის გაგება მეტად ძნელია. ამიტომ არ იციან, რა გზით წამოვლენ იაპონელები: ბენსიხუდან ტილზანტუნისაკენ, პირდაპირ მუკდენის დიდ გზაზე, მდინარე ხუნხეს პირ-პირ, თუ მდინარე ლიაოხეს პირ-პირ. იაპონელების ორი როტა ჯონკებით მდინარე ლიაოთი ზევითკენ გაემართა, მაგრამ ტუანგტანთან რუსებმა უკან გააბრუნეს. ჩინელმა ვაჭარმა გვიამბო, იაპონელებმა ლიაოიანში მხოლოდ ერთი როტა დასტოვეს, ლიაოიანის ჩრდილოეთით სიმაღლეებზეც 2 ათასი კაციო. მარშალ ოიამას მთავარი სადგომი ლიაოიანის ჩრდილოეთითა აქვს გამართული. ოიამასთან იაპონიის იმპერატორის გვარეულობის პრინცი იმყოფებაო. ჩინელები მეტად აღელვებულნი არიან: ვაი თუ მომავალ ბრძოლის დროს მუკდენში იმპერატორების საფლავები დაგვინგრიონო. გენ. ნოძუმ აცნობა ჩინეთის მთავრობას, თუ მუკდენი ავიღეთ, ჩინელების საკუთრებასა და იმპერატორების საფლავებს ხელს არ ვახლებთო. („რ. ვ.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი იუწყება მუკდენიდან: ინჟენერი გენერალი ველიჩკო ძლიერ ამაგრებს ტელინს. ველიჩკო რაღაც სულ ახალ, მოულოდნელ „საჩუქრებს“ უმზადებს იაპონელებსაო. („რ. ვ.“).

ხმა დადის, გენ. კუროპატკინის არმია სამხრეთისაკენ გაილაშქრებსო. („რ. ვ.“).

ფრანგულ გაზ. „ჟურნალ“-ის კორესპონდენტი ნოდო სწერს: 31 აგვისტოს გენ. კუროპატკინმა ჩინეთის იმპერატორების სამარხი დაათვალიერა. იმპერატორების სამარხი მუკდენიდან 6 ვერსტის მანძილზე ჩრდილოეთით. გენ. კუროპატკინი ღიმილით დადიოდა; დინჯი, წყნარი სახე ჰქონდა; თან თავისი შტაბი და რამდენიმე ჩინელი მეცნიერი ახლდა. მეცნიერები ყველაფერს უხსნიდნენ, გენ. კუროპატკინიც დიდის ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს. გენერალმა სახელოზე გაკეთებულ ნიშნებს შეხედა, რომ კორესპონდენტი ვიყავ და დამიძახა; ხელი ჩამომართვა და მკითხა, რომელ გაზეთის კორესპონდენტი ხართო. როცა ვუპასუხე, გენერალმა ღიმილით მითხრა: „მაშ თქვენ დიდი ხანია მანჯურიაში ხართო“.—დიახ, თქვენო აღმატებულებავ, ომის დაწყების უმალ მოველ აქა. „ძლიერ სასიამოვნოა თქვენი გაცნობა,—მომიგო გენერალმა.. თქვენ საზარელ ამბებს დაესწარით და თუ კიდევ ცოტა ხანს დარჩებით, უფრო დიდ ამბებს ჰნახავთ. გარწმუნებთ“... შტაბის აფიცრებს ძლიერ მოეწონათ გენერლის სიტყვები. ცხადია, ყველას მტკიცე იმედი აქვს, რომ მომავალში რუსის ჯარი გაიმარჯვებს“... („რ“)

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი იუწყება: მუკდენში დიდძალი ხალხი შეიყარა და ამიტომ ბრინჯის შოვნა გაჭირდაო. („რ“).

მარშალი ოიამა იუწყება: რუსის კავალერიამ ფორმა შეიცვალა; ყველა კავალერისტს ეხლა მუქი ლურჯის ფერი ტანისამოსი აცვიაო. („რ. ვ.“).

მადრიდიდან დეპეშით ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: რუსის კრეისერმა „ტერეკ“-მა ყველა რუსის გემს, ესპანიისა და პორტუგალიის პორტებში მყოფს, დაბრუნდით კონვერტებით ბრძანებები გადასცა.

იმავ გაზეთებს ატყობინებენ სან-ფრანცისკოდან: რუსის სამხედრო გემს „ლენა“-ს დიდ ოკეანეში ორი სხვა რუსის სამხედრო გემი მისდევდაო. ერთი მათგანი „კორეია“ იყოო. („ბ. ვ.“).

ბალტიის ესკადრა. უცხოეთის გაზეთები მეტად არეულ ცნობებსა ჰბეჭდავენ დიდ ოკეანის მეორე ესკადრის (ბალტიის ესკადრის) მოძრაობაზე. „ნ. ფრ. პრესე“ იუწყება, ბალტიის ესკადრა დანიას მიუახლოვდაო; ფრანგული გაზეთები იუწყებიან, ესკადრა ლიბავასა, ან რეველში შედგა სრულაში სავარჯიშოდაო. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი შენიშნავს: „ადმირალი როჟდესტვენსკი, ალბად, მოიცდის, სანამ კრონშტადტში ერთს, ან იქნება ორს ჯავშნიან გემს დაამზადებენ კიდევაო. ამბობენ, ჯავშნიან გემ „ორიოლ“-ის დამზადებასა და შეიარაღებას კიდევ ექვსი კვირა დასჭირდებაო. ეს გემი ჰდინს მოცდად. „ორიოლ“-იც რომ მიემატოს, ესკადრას თანამედროვე, ერთის ტიპის (ერთგვარი) გემები ეყოლება და იაპონიის ესკადრასთან გამკლავება შეეძლება. ძველ, მძიმედ მოსიარულე ჯავშნიან გემებს მაშინ შინ დასტოვებენ და უფრო ახალი თანამედროვე ჯავშნიანი გემები და რამდენიმე სწრაფლ მავალი კრეისერი, გინდაც რომ ექვსის კვირით გვიან გავიდნენ, სამხედრო მოქმედების ასპარეზზე იმავ ვადაზე ჩავლენ, რა ვადაზეც ძველი გემები ჩავიდოდნენ, ეხლავე რომ გასულიყვნენ. („ნ.“).

ბევრნი ამბობენ, სანამ ბალტიის ესკადრა შორეულ აღმოსავლეთს ჩავა, პორტ-არტური იაპონელების ხელში იქნება, ვლადივოსტოკის ნავთსადგურიც გაიყინებაო. რუსის ესკადრა ბინას ვეღარსად იშოვის და დიდ გაჭირვებაში ჩავარდება, მით უმეტეს, რომ სამის თვის სიარული მეზღვაურებსაც დაჰღლის და ქვა-ნახშირსაც გამოულევსო. ფრანგული გაზ. „ეკო დე პარი“ სწერს: რუსის ესკადრა ძალით დაიჭერს სადმე ადგილს, მაგალითად, მალაის არხიპელაგის კუნძულებზე, ან სხვაგან სადმე და ბინას გაიჩენსო; მართალია ამ ბინაზე დოკები და ქარხნები არ ექნებათ რუსებს, მაგრამ ესკადრა მაინც იოლად წავა, მარჯვე დრომდე მოიცდის და, როცა საჭიროდ დაინახავს, სამხედრო მოქმედებას შეუდგებაო. („ნ.“).

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ს დეპეშით ატყობინებენ სტამბოლიდან: ამ კვირაია თავისუფალ ფლოტის 7 გემი გავა ოდესიდანა და ნიკოლაევიდან, დარდანელის სრუტეში გაივლის და ბალტიის ესკადრას (დიდ ოკეანის მეორე ესკადრას) 60 ათას ტონ ქვანახშირს წაუღებს. სულთანმა დიდი ხანია

ნება დართო ამ გემებს, რომ დარდანელში თავისუფლად გაიარონ. ხმა დადის, ბალტიის ესკადრა, სუეცის არხით-კი არა, სამხრეთ-აფრიკის გარშემო წავაო. („ნ.“).

„**ბრძოლა ლიაოიანთან.** „რუსკი ინვალიდ“-ში 5 სექტემბრამდე გამოცხადებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ლიაოიანთან ბრძოლის დროს, 12 აგვისტოდან 23 აგვისტომდე, რუსის ჯარს სულ 465 ოფიცერი დაჰკლებია: 6 გენერალი, 39 შტაბ-ოფიცერი და 420 ობერ-ოფიცერი. ამათგან 80 მოკლულია, 286 დაჭრილია, 86 დაშავებული და 13 ბრძოლის ველზე დარჩენილა. ეს ცნობები სრული არაა. („ნ. ვ.“).

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: რუსებს ლიაოიანთან ბრძოლის დროს 21,800 სალდათი მოუკლეს და დაუჭრესო. („რ.“).

მარშალ ოიამას მოუხსენებია იაპონიის მთავარ შტაბისათვის: ადრე ჩამოთვლილ დავლის გარდა, ლიაოიანთან კიდევ შემდეგი დავლა ჩავიგდეთ ხელშიო: 3 ათასი კოკუ (კოკუ—11 ფუთია) ქერი, 6 ათასი კოკუ ქატო, 1000 კოკუ ჩინური ბრინჯი, 5 ათასი კოკუ ფეტვი, 1,300 ბოჭკა ნავთი, 100 ათასი ხის მორი, 200 ტონა (1 ტონა 64 ფუთია) ქვა-ნახშირი, 353 ცხენი და 214 ვაგონი. ეს ვაგონები რკინის გზის ახლო იდგაო. („მ. ვ.“).

პორტ-არტური “რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ შანხაიდან: 7 სექტემბერს დილით იაპონელებმა პორტ-არტურთან ორი მნიშვნელოვანი ფორტი დაიჭირესო. („მ. ვ“).

„ნოვი კრაი“-ში სწერია: ივნისში პორტ-არტურში ცნობა მოვიდა, ვლადივოსტოკის ესკადრამ იაპონიის სატრასპორტო გემები ჩაძირა და ამ გემებზე პორტ-არტურისათვის დანიშნული დიდი საალყე ზარბაზნებიც დაიღუპაო. პორტ-არტულერებმა მაშინვე მიულოცეს იაპონელებს ეს ამბავი. იაპონელებმა ხელად უპასუხეს: სხვა ახალი უკეთესი ზარბაზნები მოდის თქვენთვისაო. („ნ. დ“).

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან: რუსეთის მთავრობამ პორტ-არტურის ესკადრის უფროსად, თავად უხტომსკის ნაცვლად, კრეისერ „ბაიან“-ის უფროსი კონტრ-ადმირალი ვირენი დანიშნაო. „ეკო დე პარი“ იუწყება: ადმირალმა ვირენმა დეპეშა გამოგზავნა პეტერბურგშიო. ადმირალი სწერს: თუ ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრა (ბალტიის ესკადრა) მალე მოვა „და პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკის ესკადრას შეუერთდება, მერე, იმედია, რუსის ფლოტი ადმირალ ტოგოს ფლოტზე იერიშს მიიტანს და დაამარცხებს კიდევაცაო. რუსის გემები პორტ-არტურში სრულიად შეკეთებულია; მეზღვაურებს იაპონელებთან ბრძოლა სწყურიანთო. ადმირალ ვირენს თავისი ბაირაღი კრეისერ „ბაიან“-ზე გაუშლია. („ნ. ვ.“).

ინგლისურ გაზ. „დეილი ქრონიკლ“-ის თანამშრომელი ძლიერ აქებს ადმირალ ვირენს და ამტკიცებს, რომ პორტ-არტურის ახალი უფროსი სამხედრო ნიჭით ადმირალ ტოგოს არ დაუვარდებაო. თუ მომავალ ბრძოლის დროს იაპონელების ყუმბარამ არ მოჰკლა, ადმირალი ვირენი ძლიერ ისახელებს თავსაო. („ნ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, **ბაქოში ხოლერის გაჩენიდან** (15 აგვისტოდან) 9 სექტეტემბრამდე ხოლერით ავად გამხდარა სულ 12 ადამიანი. აქედან 8 გარდაცვლილა, ორი მორჩენილა და ორი ჯერაც ავად არის. 9 სექტემბერს ავად გამხდარა სამი ადამიანი, ორი გარდაცვლილა; 10 სექტემბერს რვა ადამიანი გამხდარა ავად, გარდაცვლილა—სამი, 10 სექტემბერს ოთხი გამხდარა ავად, ერთი გარდაცვლილა.

◆ როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, 12 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, როდესაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის მღვდელი სერგეი დავითაშვილი რკინის გზის ეკკლესიაში შევიდა, ამავე ეკკლესიის დარაჯმა თევდორე ბოიადინმა რევოლვერი ესროლა და **სასიკვდილოთ დასჭრა.** მღვდელი რამდენისამე წუთის შემდეგ გარდაიცვალა. ამავე დარაჯმა იქვე ესროლა რევოლვერი რკინის გზის მოხელეს, კანტორის გამგეს ივანე ვიკულოვს და სასიკვდილოდ დასჭრა. თევდორე ბოიადინი შეიპყრეს.

◆ როგორც გვატყობინებენ, 9 სექტემბერს ბორჩალოს მაზრაში **შეტაკება მოხვლიათ პოლიციელებსა და ავაზაკთა ბრბოს.** 8 სექტემბერს გერმანელთა სოფელს ეკატერინენფელდში ვიღაცას დაუჭრია საპოლიციო დარაჯთა ურიადნიკი. მაზრის უფროსის თანაშემწეს თავ. ანდრონიკაშვილსა და ადგილობრივ ბოქაულებს გამოურკვევიათ, რომ ეს საქმე ავაზაკებს ჩაედინათ. შესდგომიან ძებნას და 9 სექტემბერს მალავერას ხევში შეჰხვედრიან ერთმანეთს. ამტყდარა სროლა, რომლის დროსაც ორი ყაჩაღი მოუკლავთ, დანარჩენნი გაქცეულან.

◆ ამ სამოსწავლო წლიდან არსდება **სამრევლო სკოლები** თიანეთის მაზრის სოფლებ საყდრიანსა და სვიმონიანთ ხევში, ტფილისის მაზრის სოფ. ახალსოფელში და ყარსის ოლქის სოფ. მერინესში. დაიხურა ამავე სამოსწავლო წლიდან სკოლები 1 პირიქით ხევსურეთის სოფელს ახიელში, ხოლო 2 სკოლა ყარსის ოლქში ბერძნებში.

◆ ქართველ კათოლიკეთა მღვდელი, მწერალი მიქაელ თამარაშვილი შესდგომია **ფრანგულად საქართველოს საეკკლესიო ისტორიის დაწერას.** ავტორი ამ წიგნში, საეკკლესიო ისტორიის გარდა, ჩაურთავს წმიდანების სურათებს, აგრეთვე გეოგრაფიულ, ეტნოგრაფიულ და პოლიტიკურ ცხოვრების აღწერას. რადგან მამა თამარაშვილს სჭირდება მასალა თავის შრომის დასამთავრებლად, მან რომიდან სთხოვა ჩვენის წარსულ ცხოვრების მკვლევართა და მცოდნეთ, მიაწოდონ საჭირო მასალა.

◆ როგორც გვატყობინებენ, გადაწყვეტილია **ფშავ-ხევსურეთში ერთის მისიონერის** ყოლა, რომელმაც უნდა მოსპოს მთიელთა ხუცობა და ხევის-ბერ-დეკანოზობა. მისიონერად დანიშნული ბლაღოჩინად იქმნება ფშავ-ხევსურეთისა. წლიურად 1500 მანეთი ჯამაგირი მიეცემა და ბინა პირ-აქეთ ხევსურეთის სოფ. ბარისახოში ექმნება.

◆ **ტფილისის გუბერნატორი** უკვე დაბრუნდა და 13 სექტემბრიდან შეუდგა თანამდებობის აღსრულებას.

◆ ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ქალაქის სასანიტარო კომისიამ **პასუხის გებაში მისცა „ტფ. კრუჟოკის“ გამგენი** „კრუჟოკის“ სადგომის ანტისანიტარულ მდგომარეობის გამო. ამ საქმის განხილვა დანიშნულია მესამე ნაწილის მომრიგებელ მოსამართლესთან 15 სექტემბრისთვის. სასამართლოში ქალაქის ინტერესების დასაცველად მიუწვევიათ სასყიდლით გარეშე ვექილი, რადგან ქალაქის იურისკონსულტს ბ-ნ ტერ-სტეფანოვს უარი უთქვამს, არ დავიცავ მაგ საქმესაო. კომისიაში უკვე ჰქონიათ ამაზე ლაპარაკი. სწორედ გასაკვირველია ბ-ნ იურისკონსულტის საქციელი! საზოგადოდ, როგორც ამას წინადაც სწერდნენ, ქალაქის გამგეობის არც ერთი ნაწილი ისე არა კოჭლობს, როგორც საიურისკონსულტო ნაწილი, მაგრამ ყურადღების მიმქცევი მაინც არავინ არის.

◆ საგუბერნიო მთავრობამ ცვლილებებით დაამტკიცა ტფილისის საბჭოს მიერ შემუშავებული **დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა** ამა 1904 წლისათვის. ტფილისის ქალაქის გამგეობამ ამ საგნის შესახებ განიხილა მოწერილობა საგუბერნიო მთავრობისა და დაადგინა, შეიტანოს იგი განსახილველად საბჭოში და მოახსენოს თავისი მოსაზრება, რომ საკრებულოს დადგენილება ამ საგნის შესახებ უნდა განსაჩივრებულ იქმნას.

◆ დიდის მოლოდინის შემდეგ 12 სექტემბერს მოხდა ტფილისის დურგალთა ამხანაგობის კრება. კრებას 30 წევრზედ მეტი დაესწრო (ეტყობა, გასჭრა გამგეობის მეცადინეობამ—მოსაწვევ ბარათების გაგზავნამ და გაზეთების საშუალებით მოწოდებამ). კრება დიდის ყურადღებით შეუდგა საქმეების განხილვას. არც ერთი მხარე ამხანაგობის გაჭირვებისა არ დარჩა გამოურკვეველი და შესაფერ ღონისძიებათა მოუზოვებელი. კრებამ დაადგინა: 1. ქარხნის უფროს ოსტატად ისევ გამგეობის წევრი გ. ბერძენიშვილი აარჩია ერთ ხმად და რადგან ქარხნის გაფართოვებისა და შემოკვეთილთა სიმრავლის გამო ერთი კაცი ვეღარ ასდის, ამისათვის გ. ბერძენიშვილს მიეცეს ნება, ვინც უნდა აირჩიოს თავის თანაშემწედ წევრ-დურგალთაგანი თავისივე პასუხის მგებლობით. 2. რადგან გამგეობის წევრმა ი. რუსიშვილმა თავის თანამდებობაზე უარი განაცხადა და იკისრა საამხანაგო მაღაზიის წარმოება, კრებამ იმის ნაცვლად გამგეობის წევრად აარჩია ძველი ოსტატი მეჩუქურთმე დ. გიგაური. 3. წინა კრებაზე გამგეობისადმი საყვედურის გამოცხადებისა გამო (გამგეობის ვითომდა უმოქმედობისათვის) გამგეობის თავმჯდომარემ თანამდებობიდან გადადგომა ითხოვა, მაგრამ კრებამ ერთხმად სთხოვა დარჩენილიყო და ისიც დარჩა. 4. სარევიზიო კომისიის წევრმა ს. ტარუაშვილმა კრებას წარუდგინა ამხანაგთაგან მინდობილი და თავის მიერ შემუშავებული წესრიგი გამგეობისათვის სახელმძღვანელოდ, [illegible] დიდი სჯა და კამათი გამოიწვია წევრთა შორის. ეს წესრიგი კრებამ მიიღო ზოგიერთა მუხლების შესწორებით და ოქმშიც შეიტანა.

◆ ტფილისის სახელოსნო საზოგადოების გამგეობაში, აქამდე არსებულ წესით, ყველამ, ვისაც სურს მოწმობა მიეცეს და გახსნას სახელოსნო, უნდა წარადგინოს თავისი ნაწარმოები, რომელსაც საექსპერტო კომისია გასინჯავს და, თუ ღირსად სცნო, მთხოვნელს მოწმობას მისცემს. რადგან ხშირად უსიამოვნება ჰხდება მთხოვნელთა და საექსპერტო კომისიის წევრთა შორის, ხელოსანთა მოურავმა გამოუცხადა ხელოსნებს, რომ ვისაც საექსპერტო კომისიის დადგენილება არ მოეწონება, შეუძლიან განასაჩივროს გუბერნატორისა ან ქალაქის გამგეობის წინაშე.

◆ დღეს, 14 სექტემბრისათვის, დანიშნულია სხდომა ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს, სხვათა შორის, შემდეგი საქმეები: არჩევანი გ. მ. თამამშევის სახელობის სტიპენდიებისა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე; მოწერილობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა ყური უგდოს ქალაქმა და შემწეობა აღმოუჩინოს ომში დახოცილ აფიცრებისა და ჯარის კაცთა ობოლ მოსწავლე შვილებს; ამავე საგნის შესახებ თხოვნა ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორისა და სხვა საქმეები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა სავალდებულო დადგენილებათა პროექტი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ტფილისის არსებულ ცხენის რკინის გზის კონდუქტორებმა. გუშინ ქალაქის მოურავის მოადგილემ ეს პროექტი წარუდგინა გუბერნატორს და სთხოვა, კან[illegible] თანხმად, მისი გამოცემა.

◆ კვირას, 12 სექტემბრისათვის, დანიშნული იყო ყრილობა ტფილისის სახელოსნო საზოგადოების უსტაბაშებისა და დეპუტატებისა. რადგან საკმაოდ არ მოვიდნენ, ყრილობა გადაიდო შემდეგ კვირისათვის.

◆ 6 სექტემბერს, ღამე, რამდენსამე შეიარაღებულ ყაჩაღს განუზრახავს ბარონ კუჩენბახის ქარხანაზე თავდაცემა. მსახურთ ადრე გაუგიათ ეს ამბავი, ივითაც შეიარაღებულან და თოფის სროლით დაჰხვედრიან ავაზაკებს. ავაზაკები ამის შემდეგ იქვე ტყეში გადამალულან.

◆ ლონდონის სასტუმროს პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღში, პატარა დუქანია, სადაც იყიდება სასმელი წყლები, პაპიროსები და სხვა წვრილმანი.

ფელეტონი

წერილები ამერიკიდან

სკოლაში

(დასასრული *)

სკოლას უნდა ბავშს თავი შეაყვაროს, სწავლა იმისთვის გასართობად გადააქციოს; ბავშვი კი მაინც გარედ მიესწრაფება, ქუჩა იზიდავს. ქუჩაში ბავშვი ბატონია თავის თავისა; აქ არა სწამს არც უფროსი, არც ხელმძღვანელი, არც მასწავლებელი. ქუჩაში მარტო თავის ფანტაზიის მორჩილია და რასაც ეს ფანტაზია გამოიგონებს, ისიც იმას ჩაიდენს. ხშირად ქუჩაში ტრამვაის ვაგონი ჩერდება ბავშვების გამო, ხშირად უბედურებაც ხდება, მაგრამ ეს არაფერია: ქუჩაში შუა ადგას ბავშვები მაინც ძველ ავეჯულობას აგროვებენ და სწვავენ; ხშირად ამის გამო სახლებს ცეცხლი უჩნდება; ბავშვებს კი ამისთანა გასართობს არავინ უკრძალავს. ერთის სიტყვით, ქუჩაში ბავშვები მეფობენ და რა თქმა უნდა, აქ უკეთ იგრძნობენ თავს, ვიდრე სკოლაში. სკოლა ბავშვს ანვითარებს, ქუჩა კი რყვნის, ზნეობას უფუჭებს. ქუჩა სკოლას კონკურენციას უწევს და ამ კონკურენციაში ის გამარჯვებული რჩება.

აბა ვცადოთ, შევებრძოლოთ ქუჩას, იქნება როგორმე ბავშვები ხელიდან გამოვტაცოთ, ან იმისი გავლენა, ცოტად თუ ბევრად, შევასუსტოთ,—გადასწყვიტა სკოლის მთავრობამ.

ამ აზრით, სკოლა საღამოობით ბავშვებს თავისთან ეძახის. თამაშობა, სხვა-და-სხვა გვარი გასართობი, სიმღერა, მუსიკა, ცეკვა,—აი რით უმასპინძლდება ბავშვებს საღამოობით სკოლა. აქვე მათ ბუნებისმეტყველებას ასწავლიან. აჩვენებენ აგრეთვე ხელ-საქმეს, აცნობენ ამა თუ იმ ხელოსნობას სცდილობენ ბავშვი ყველაფერს შეაჩვიონ.

სკოლის სახურავზე გამართულია ბაღი (Roof garden). აქ ბავშვები ზაფხულში საღამოობით იკრიბებიან და ისევ თამაშით, სიმღერით და ცეკვით თავს ირთობენ.

ბავშვის გართობისა და განვითარებისათვის მთავრობას დაუარსებია საბავშვო კლუბები. აქ იმართება სალიტერატურო საღამოები. ბავშვები ვარჯიშობენ ლექსების კითხვაში, სიტყვების წარმოთქმაში; შესაფერ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობენ და წაკითხულის შესახებ მსჯელობენ, კამათობენ; აქვე ბილს თამაშობენ, თავს ირთობენ, ვის როგორ უნდა.

აი, ამ საშუალებებით ებრძვის ჯერ სკოლა ქუჩას, მაგრამ ქუჩას მაინც ბევრი სტუმრები ჰყავს.

სკოლაში დისციპლინის გასაუმჯობესებლად მთავრობა ეხლა-ხან შეუდგა კიდევ ერთის პროექტის განხორციელებას. ბევრი ბავშვია ბუნებით სუსტის გონებისა; ამათ არ შეუძლიანთ სხვებთან ერთად ისწავლონ ერთსა და იმავე დროს. აშკარაა, იმათ გაკვეთილზე ყოფნა ემძიმებათ და იძულებულნი არიან იცელქონ ხოლმე და სხვებსაც ხელი შეუშალონ, — [illegible] მთავრობა. ასეთ ბავშვებისათვის ცალკე სკოლაა საჭირო. — და აი კიდეც დაარსდა ამ დღეებში აქ ამ გვარი სკოლა.

ერთის სიტყვით, მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს ბავშვის განვითარება საიმედო ნიადაგზე დაამყაროს, და სკოლაში დისციპლინის დასაცველად როგორმე გვერდი აუხვიოს ისეთ ველურ საშუალებას, როგორიც არის ფიზიკური დასჯა.

ბრმა, ყრუ-მუნჯი და იდიოტი აქაც, რასაკვირველია, ბევრია. სწავლა იმათთვისაც სავალდებულოა, მათთვის საგანგებო სკოლები არსებობს და საუცხოვო ნაყოფიც მოაქვთ.

რვა წლის განმავლობაში ბავშვი ამთავრებს სახალხო სკოლას. მას 14 წელი უსრულდება და შეუძლიან სწავლა განაგრძოს, შეუძლიან სხვა რამე საქმეს მოჰკიდოს ხელი. უმეტეს ნაწილად კი ბავშვი ამ დროს ქარხანაში მიდის სამუშაოთ.

ქარხანაში ჩვენ შემდეგ გავჰყვებით ბავშს და გავიცნობთ აქ იმის მდგომარეობას. ჯერ კი ვნახოთ, რა გზას ადგია ის, ვინც იძულებული არ არის მუშაობას მიჰყოს ხელი.

სახალხო სკოლიდან გამოსული ბავში გზა დაბნეული არ არის; იმას აქვს პრაქტიკული მოსაზრება, იცის, რის გაკეთება შეუძლიან და რის არა. ვთქვათ ბავშვმა საკომერციო ასპარეზზე მოინდომა გამოსვლა. მან უკვე იცის სხვა-და-სხვა სასაქმო-საკომერციო ბარათების წერა და ადვილად შეუძლიან შეუდგეს თავის სურვილის განხორციელებას. იქნება ბავშვს რა[illegible] ხელოსნობის სპეციალურად შესწავ[illegible] უნდა. ცოტად თუ ბევრად ის უ[illegible] გვარ ხელოსნობას იცნობს, ეხლა კი თავის გემოვნებაზე ირჩევს ერთს და შედის შესაფერს პროფესიონალურ სკოლაში. ვთქვათ ბავშს ისევ სწავლა იზიდავს — იმისთვის კარები ღიაა საშუალო სასწავლებელში — High school (აქაურად უმაღლესი სკოლა, ხოლო პროგრამით ჩვენ გიმნაზიას უდრის); ამ სკოლიდან კი შეუძლიან შევიდეს უნივერსიტეტში, რომელსაც აქ კალიჯს ეძახიან (sollege). უნივერსიტეტს აქ მჭიდრო კავშირი აქვს სახალხო განათლებასთან. ამაზე ჩვენ მერე მოვილაპარაკებთ; ეხლა-კი ისევ სკოლას დავუბრუნდეთ.

სახალხო სკოლის პროგრამით აქ კერძო სასწავლებლებიც არსებობენ. ასეთ სასწავლებლის დაარსება შეუძლიან ყველას იმას, ვისაც კალ[illegible] დამთავრებული აქვს, ან უამისოდ აქვს შესაფერისი ცოდნა მიღებული. ნებართვა უმაღლეს მთავრობისაგან და კარგის ყოფაქცევის მოწმობა კერძო სასწავლებლის დასაარსებლად საჭირო [illegible] არის. პირიქით, მთავრობა ყოველთვის მა[illegible] ბას უცხადებს კერძო პირებს ამ გვარ [illegible] თვის.

სკოლას აქ ყოველ ფეხის გადად[illegible] ხვდებით; ახალი სკოლისათვის წამ[illegible] შენობა მზადდება, რადგან მცხოვრებთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს და სკოლის მოთხოვ[illegible] დება სწრაფად იზრდება. სკოლის შენობას გა[illegible] დანვე იცნობთ: ერთ მხარეზე აწერია Boys ([illegible] ვაჟები), მეორეზე girls (ქალები); სჩანს, [illegible] სქესის ერთად სწავლა-აღზრდა არც აქ უ[illegible] მიღებული. სკოლ. შიგნით მშვენივრად [illegible] მორთული, მოხატულ კედლებზე [illegible]

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2207.

7 სექტემბერს, ღამე ქურდებს გამოუნგრევიათ ამ დუქნის ერთი კედელი, შესულან და სულ ერთიანად მიუნგრ-მოუნგრევიათ დუქანი. ქურდებს ერთი მანეთის მეტი ვერ უნახავთ და, თითქმის გულმოსულებს, დაულეწიათ ლიმონათისა და სხვა სასმელების ბოთლები. იქვე რამდენიმე ნაბიჯზე პოლიციის მოხელეთა სადგომი ადგილია, მაგრამ ვერაფერი გაუგიათ.

◆ 13 სექტემბერს, ღამე, ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს გაუტეხიათ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის მასალების საწყობი. ბოროტ-განმზრახველებს მოუვლიათ მტკვრის პირიდან, გადაპარულან ეზოში და საწყობის კარებზე გასაღები გამოუმტვრევიათ. ქურდებს წაუღიათ, რაც მოუხელებიათ სადურგლოვანი და რასაც მორევიან. ზარალი ჯერ არ არის გამორკვეული. გუშინ ეს ამბავი აცნობა დირექტორმა პობედიმოვმა ქალაქის გამგეობას და მოსწერა, ეს პირველი არ არის, რომ საწყობს ამ კუთხიდან სტეხენ ხოლმე ქურდებიო. ამიტომ სამეურნეო კომისია მოვიწვიე იმის გამოსარკვევად, თუ რა ღონისძიებანი ვიხმაროთ, რომ შემდეგში ქურდების თარეში ჩვენს საწყობში თავიდან ავიშოროთო.

◆ ბათუმი. 11 სექტემბერს, ღამის 3 საათზე, მანევრების დროს, მეისრე პართენ აფხაზიშვილი უნდა შემხტარიყო ვაგონზე, ფეხი აუცდა, ხელებით ჩამოეკიდა ვაგონს და ისე რამდენიმე საჟენი ათრია და მარცხენა ფეხი დაუშავა.

◆ ბათუმი. 11 სექტემბერს, დილის 5 საათსა და 15 წუთზე, როდესაც ორთქლ-მავალი დეპოდან უნდა გამოსულიყო, მეისრე დიმიტრი მალაბეკაშვილი ავიდა ორთქლ-მავალზე, ორთქლ-მავალსა და დეპოს კარებ შუა გაიჭედა და ძლიერ დაშავდა. დაშავებული ბათუმის ქალაქის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ მარიამობა დღეს სოფ. მარტყოფში (ტფილისის მაზრა) ვანო ჩიტრეკაშვილი მოჰკლა თავისმავე მეზობელმა შოშიაშვილმა ჩხუბის დროს.

◆ სადგურ ვაზიანთან (ტფილისის მაზ.) უპოვნიათ გახრწნილი გვამი, რომელიც გამომდგარა არსენ სუნგულოვისა.

◆ ღვთაებობა დღეს სოფ. ნორიოსთან (ტფილისის მაზრა) ჩხუბში მოუკლავთ ამავე სოფლის მცხოვრები დურგლიშვილი.

◆ აგტაგლია: 12 სექტემბერს, დილის 7 საათზე, სადგურის პირდაპირ, ლიანდაგის გვერდით, ნახეს კაცი, რომელიც ძლივსღა სუნთქავდა: თერთმეტ საათზე გარდაიცვალა კიდეც. გარეგნობით მაჰმადიანსა ჰგავს.

◆ ხვალ, 15 სექტემბრისათვის, დანიშნულია კრება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა მიმდინარე საქმეების განსახილველად.

რუსეთის ქრონიკა

◆ ადესის საფოსტო გამგეობას მოუვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ლიაოიანის ლუგის შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნი წერილები და ნივთები ხარბინში იგზავნება და იქიდან სამხედრო ფოსტა გზავნის დანიშნულებისამებრ.

◆ ვარშავის ობერ-პოლიცმეისტრის განკარგულებით, დაარსდა ვარშავაში განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს პოლიციის მოხელეთა დანაშაულობანი და გაარჩიოს კერძო პირთა საჩივრები პოლიციელთა წინააღმდეგ.

◆ თურქესტანის ჯარების უფროსმა ბრძანებით მიმართა თავისს ხელქვეითთ, განუმარტა ადგილობრივ ენების შესწავლისა და სწავლების საჭიროება და აღნიშნა ის გარემოება, თუ რა საზარალოდ დაურჩათ რუსებს ბრძოლის ველზე იაპონურ ენის უცოდინარობა. უცხო ენის უცოდინარი ადამიანი მუნჯია უცხოეთში. ვერ გაიცნობს ხალხს, იმის ყოფა-ცხოვრებას; მთარგმნელი ვერ გააცნობს მას ხალხს, არამედ ბევრ ყალბ ცნობებს შესძენსო,—სწერს ჯარების უფროსი.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ჟამად ცნობებს ჰკრებავს იმის შესახებ, თუ რამდენი მამული დარჩა სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკს სხვა-და-სხვა გუბერნიებში. სამინისტროს განზრახვა აქვს ამ მამულებით მცირე ადგილ-მამულის მქონე გლეხებს დაეხმაროს. ამასთანავე სამინისტრო იმის შესახებაც ჰკრებავს ცნობებს, თუ რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში რამდენი სახაზინო მამულია და რა პირობებით შეიძლება ამ მამულებში გლეხების დასახლება.

◆ მთავრობის განკარგულებით, უნდა გაანთავისუფლონ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან ის სათადარიგო ჯარის კაცნი, რომელნიც რკინის გზების სადგურებზე არიან დარაჯებად.

◆ პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ცნობები მოსთხოვა სახელოსნო გამგეობას იმის შესახებ, თუ რამდენად დაცულია სავალდებულო დადგენილებანი სახელოსნოებში მუშაობის განწესრიგების შესახებ: დადგენილზე მეტს თუ ამუშავებენ პატრონები შეგირდებს, რომელ საათზე იწყებენ და ასრულებენ მუშაობას, რა მდგომარეობაში არიან მცირე-წლოვანი შეგირდები და სხვ.

◆ ქ. რიგაში დაარსდა სახლის პატრონთა საზოგადოება. ეს პირველი ამგვარი საზოგადოებაა რუსეთში. საზოგადოების მიზანია: მდგმურებსა და სახლის პატრონთა შორის დამოკიდებულების გაუმჯობესება და წესიერ ნიადაგზე დაყენება; მდგმურების უფლებათა დაცვა; ბიუროების დაარსება, სადაც შეკრებილ იქნება დაწვრილებითი ცნობები გასაქირავებელ სადგომების შესახებ; სახლისათვის საჭირო ნივთების ერთად შეძენა იაფ-ფასად; საწყობებისა და სახელოსნოების გახსნა. ბერლინში 16 ამგვარი საზოგადოება არსებობს, რომელშიაც მონაწილეობას იღებს მთელი ქალაქის სახლის პატრონთა ორი მესამედი.

◆ რუსეთის ცნობილ მწერალ-ბელეტრისტს ბობორიკინს დაწვრილებით შეუსწავლია მწვალებლობის, ეგრედ-წოდებულ „სტაროობრიადცების" ყოფა-ცხოვრება და ვრცელ რომანს სწერს ამ თემაზე. მწერალმა დაიარა მწვალებელთა სოფლები, გაუზიარა „სტაროობრიადცებს" თავისი განზრახვა, რომელსაც უკანასკნელნი სიამოვნებით მიეგებნენ, გულ-ღიად გაუზიარეს ცნობები თავის ყოფა-ცხოვრების ავ-კარგზე, მიიწვიეს თავის ლოცვასა და კრებებზე და დაატარეს ბევრი სოფელი.

◆ ადესიდან იწერებიან 7 სექტემბერს, რომ უკვე სამი დღეა, რაც შავ-ზღვაზე მძლავრი ქარიშხალია. გემებს ძლიერ აგვიანდებათ გზაში. ახლო-მახლო ნავთსადგურებთან გემების მიმოსვლა დროებით შესწყდა.

◆ 8 სექტემბერს პეტერბურგში გაიხსნა ქალთა სამეურნეო კურსები.

თეატრი

შაბათს, 11 სექტემბერს, სახალხო თეატრში ავჭალის ქუჩაზე დაიწყო სახალხო წარმოდგენების სეზონი. ამ საღამოს წარმოადგინეს „მეორედ გაუმაწვილდება", დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული კომედია. მოთამაშენი კარგად მომზადებულიყვნენ და წარმოდგენამ მწყობრად და რიგიანად ჩაიარა. საზოგადოდ, ეტყობა, რომ წლევანდელი სეზონი სახალხო წარმოდგენისა ნაყოფიერი იქნება.

—

ავლაბრის თეატრი. კვირას, 12 სექტემბერს, ავლაბრელ ქართველ-სომეხ სცენის მოყვარეთა ამხანაგობამ, რომელიც მუდმივ მართავს კვირაში თითო ქართულსა და სომხურ წარმოდგენას და რომელსაც გამგებლობს პ. ზ. ნასიძე, გამართა სომხური წარმოდგენა. წარმოადგინეს ფრანგულიდან ნათარგმნი ხუთ-მოქმედებიანი დრამა „ბანქოს მოთამაშის ცხოვრება". წარმოდგენას არა უშავდა-რა, თუმცა არ მოველოდით რიგიან თამაშს, რადგან პიესა ძალიან რთულია. უფრო მწყობრად ჩაივლიდა წარმოდგენა, რომ ზოგიერთებს როლის მოუმზადებლობით და მეტის-მეტი გადაჭარბებით ერთი-ერთმანეთისათვის ხელი არ შეეშალათ. წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო. წარმოდგენა გათავდა ნაშუაღამევის პირველ საათზე, რაც არაფრად სასიამოვნოა საქმის ხალხისათვის და უმჯობესი იქნება, რომ შემდეგში წარმოდგენას ადრე დაიწყებდნენ.

ჩვენ გიორგი მჭედლიშვილსა ვჩიოდით და ახლა მეორე დასიც გაჩნდა ამნაირივე, რომელსაც გამგებლობს ვიღაც გ. პეპანოვი და მართავს სომხურ-ქართულ წარმოდგენებს. კვირას, 12 სექტემბერს, გამართა მეორე დილის წარმოდგენა სომხურ ენაზე. წარმოადგინეს დ. ტერ-დავითიანცის ნათარგმნი ვ. გუნიას „და-ძმა". ეს წარმოდგენა ისეთივე იყო, როგორიც წარსულ კვირას გ. მჭედლიშვილისა, ხოლო შიგა და შიგ ის განსხვავება იყო, რომ ზოგიერთებმა როლები ზეპირად იცოდნენ და მეტი არაფერი... ვურჩევ ყველას, ვისაც მაინცა და მაინც სცენაზე თამაშობა უნდა, ნუ ჩააფრინდებიან ხოლმე ისეთ პიესებს, რისთვისაც ძალ-ღონე არ შესწევთ. წარმოდგენას ოცამდე კაცი დაესწრო მხოლოდ.

ავლაბრელი ნინია

წერილები

ბაქო. როგორც უკვე მოგეხსენებათ, ბაქოს ეწვია ულმობელი სენი—ხოლერა, რომელიც დღე გამოშვებით თხოულობს თითო-ოროლა მსხვერპლს. ბაქო, როგორც მოგეხსენებათ, ისეთი ადგილია, რომ უკეთუ აქ ხოლერამ ფეხი გაიდგა და გაძლიერდა, შესაძლებელია აქედან ბევრ სხვა ქალაქსაც ეწვიოს. ამ მოსაზრებამ ფეხზე დააყენა მთავრობა, ადგილობრივი ადმინისტრაცია და ქალაქის თვითმმართველობაც. 8 სექტემბერს მოხდა ქალაქის საბჭოს დარბაზში ადგილობრივ გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის თავმჯდომარეობით დიდი კრება. კრებაზე მიწვეულნი იყვნენ ყველა სანიტარული მზრუნველები, აქაური ექიმები და ქალაქის გამგეობის წევრები. კრებას, სხვათა შორის, დაესწრნენ უმაღლესის მთავრობის მიერ გამოგზავნილი გრაფი ზუბალოვი და პროფესორი გომალეი. ამ უკანასკნელმა განუმარტა კრებას ყველა ის უმთავრესი საშუალება, რომლის ხმარებაც საჭიროა ხოლერასთან საბრძოლველად.

დიდის ხნის კამათის შემდეგ, კრებამ დაადგინა, მთელი ქალაქი გაიყოს 100 სამზრუნველოდ და 30 საექიმო ნაწილად. სანამ 30 ახალ კერძო ექიმს მოიწვევდნენ, გუბერნატორმა დაავალა ბაქოელ ექიმებს, ყველამ მონაწილეობა მიიღოს ხოლერასთან ბრძოლაში. გარდა ამისა კრებამ გადასწყვიტა, არჩეულ იქმნას ერთი ისეთი კაცი, რომელსაც მიენდოს ყველა მზრუნველებისა და ექიმების მოქმედების თვალ-ყურის დევნა და რომელსაც შეეძლოს მათი ხელმძღვანელობა.

გ. წყალტუბელი.

—

სამხთო (გურია). თუ გურიაში რომელიმე სოფელი დაიკვეხდა პურღვინის სიუხვეს, იმას გვერდში უსათუოდ სამხთოც ამოუდგებოდა. ჩვენი სოფელი ნამდვილი სალარო იყო სიმინდ-ღომისა. კარგის მოსავლით წახალისებულნი სამხთოელები მთელს თავისს ძალ-ღონეს ალევდნენ სიმინდის მოყვანას და ბლომადაც მოსდიოდათ ჭირნახული, იშვიათი არ იყო ისეთი ოჯახი, რომელსაც წლიურად 500—600 ფუთი სიმინდი გაჰქონდა გასასყიდად. ხარჯ-ნაკლები სოფლელი სანთლით საძებარი იყო. თუ შემთხვევით ვინმეს ერთის, ან ორის თვის სარჩო შემოაკლდებოდა, სირცხვილით ვერც-კი ჰბედავდა გამომჟღავნებას და საჭირო სიმინდს სადმე მალულად ყიდულობდა, ასეთი იყო სამხთო 5—6 წლის უკან, მაგრამ ბედის ჩარხი უკუღმა დაგვიტრიალდი და სულ სხვას ვხედავთ ეხლა: დღეს თითქმის მთელი სამხთო დამშეულია, და წინად გაყიდვას დაჩვეული სოფლელი იძულებულია მამასისხლად იყიდოს დღიური სარჩო. სიმინდს რომ ვერ შოულობენ სასყიდლად, პურს ყიდულობენ, მაგრამ ვაი ამისთანა ყიდვას! რომელ ერთს გახვდება სიმწარით ნაშოვნი ორიოდე გროში. ბევრნი, საჭირო ფულს რომ ვერ შოულობენ, მთელის კვირაობით მარტო ხილეულობით და მოხარშულ სიმინდით იკვებებიან, რის გამოც უიმისოდაც გავრცელებული ციებ-ცხელება ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. წელს თუმცა ნამუშავარს კარგი პირი უჩანს, მაგრამ საგაისოდ მაინც სიმშილი მოგველის, გაჭირვებაში ჩავარდნილი სოფლელი, ეჭვს გარეშეა, წლის ბოლომდე ძალაუნებურად გაჰყიდის მოწეულ სარჩოს.

დიდიხანია, რაც სამხთოში ასფალტის ულეველი მადნები ამოაჩინეს. გასულ აპრილში ასფალტის დასამუშავებლად გვესტუმრა ქ. ტაგანროგის მცხოვრები ი. გუმელი და კიდევაც დაიწყო მუშაობა. გუმელს აზრადა ჰქონდა საქმე დაეჩქარებინა და ზაფხულში დაედგა ორთქლით მომქმედი მანქანები, მაგრამ ჯერჯერობით მოქმედებს მხოლოდ სამი ქვაბი, რომლებშიაც 15—16 კაცის მუშაობით დღეში იხარშება 100 ფუთზე მეტი წმინდა ფისი. ორს სექტემბერს ასფალტის ხარშვის დროს უბედურება დატრიალდა: როდესაც სამხთოს მცხოვრებს კირილე მიმინოიშვილს ქვაბში ჩასაყრელად ქვიშა მიჰქონდა, მოულოდნელად ფეხი გაუსხლტა და ადუღებულ ქვაბში ჩავარდა. ბედად იქვე მყოფი ამხანაგები დროიანად მიეშველნენ, თორემ რამდენიმე წამის განმავლობაში სრულიად მოიხარშებოდა. მიმინოიშვილი მაინც ძლიერაა დაშავებული: ორივე ფეხი ძალზედ აქვს დათუთქული და მოსალოდნელია სრულიად დასახიჩრება. კ. მიმინოიშვილი წვრილ ცოლშვილის პატრონი სოფლელია. სასურველია, შემდეგში მაინც აღარ გამეორდეს ასეთი შემთხვევა, ფათერაკი მით უფრო მოსალოდნელია, რომ მუშაობა სწარმოებს ღამითაც. სულ ადვილად შეიძლება უძილობისაგან თვალ-აბნეული მუშა ქვაბში ჩაიჩეხოს და წუთისოფელს გამოესალმოს. 31

წოდებულ სასკოლო წესებს (ШКОЛЬНЫЯ ПРАВИЛА) ვერ დაინახავთ.

ზემოდ ჩვენ დავასახელეთ კომისია სახალხო განათლებისა (Bord of Education). როგორც ვთქვით, ეს არის სკოლის მთავრობა. იგი შესდგება 60 კაცისაგან, რომელთაც ქალაქის მოურავი ირჩევს. ეს კომისია განაგებს, სხვათა შორის, სკოლის ეკონომიურ მხარეს, აგროვებს საჭირო ფულს და ანაწილებს სხვა-და-სხვა სკოლებს შორის მოთხოვნილებისამებრ. კვირაში ერთხელ ამ კომისიას კრება აქვს, საჭიროებისამებრ ყოველ კვირაში სკოლის შესახებ კანონებს სცემს.

სკოლას ქალაქს გარედაც ჰყავს მთავრობა: ეგრედ წოდებული Regents. ეს მთავრობა გუბერნატორის მიერ არჩეული 19 კაცისაგან შესდგება და განაგებს მთელ შტატის სასკოლო საქმეებს. Regents-ი (რიჯენტს) ირჩევს ერთ უფროსს—სუპერ ინტენდენტს, სეკრეტარს და ინსპექტორს. ინსპექტორი დრო გამოშვებით სკოლებს ინახულებს ხოლმე, რევიზიას ახდენს და შესაფერისს ცნობებს აწოდებს სუპერ-ინტენდენტს, რომელიც თავის მხრივ მოხსენებას (ჩვენებურ ენაზე) უგზავნის სახალხო განათლების სამინისტროს Department of public instruction). წელს ახალ კანონის ძალით, სკოლის ეს ორი მთავრობა ერთმანეთს დაუახლოვდნენ და ცოტად მათი დანიშნულება შეიცვალა. სასკოლო კანონების გამოცემა დღეიდან Regent-ის ხელში იქნება, კომისიის—Bord of Education-ის საქმე კი მათი სისრულეში მოყვანა იქნება. მთელ შეერთებულ შტატების სკოლებს სათავეში უდგას ბიურო.

ასეთია, მკითხველო, აქაური სკოლის იერარქია, სასკოლო მთავრობის სხვა-და-სხვა ინსტანციები. ამათში დამოკიდებულება მეგობრულია; ოფიციალურობა, შიში, მორიდება და სხვა-და-სხვა გვარი ცერემონიები აქ არ იციან. შეერთებულ შტატების მთავრობა სცდილობს მასწავლებლები ერთმანეთს დაუახლოვოს, თუ სადმე აღზრდის ახალი მეთოდია შემოღებული, გააცნოს ყოველსავე მათგანს. ამ აზრით აქ არსებობს საერთო განათლების საზოგადოება (National Educational Association), რომელსაც წელს ივლისში ქალაქ ბოსტონში ორმოცდა მეორე წლიური მიტინგი ჰქონდა. მასწავლებლებისათვის ამ მიტინგზე დასწრება გაადვილებული იყო, რკინის გზით მიმოსვლა გაიაფებული. აქ მასწავლებლებს შემთხვევა ჰქონდათ გაეცნოთ სწავლა-განათლების საბჭოს უკეთესი წარმომადგენლები და ბევრი რამ სასარგებლო შეეძინათ.

სკოლა უფასოა-თქო გთქვით ზემოთ. მერე ვინ უძლევება ამ აუარებელ ხარჯს სასკოლო საქმეში? ვინ და მთავრობა შეერთებულ შტატებისა. ამ რამდენისამე წლის წინად მას სკოლისათვის ერთი გვებერთელა მიწის ნაჭერი შეუწირავს. ამ მიწას ამუშავებენ და შემოსავალს სკოლას ახმარებენ. ამას გარდა ქალაქის მცხოვრებლებს, ვისაც საკმაო შემოსავალი აქვს, გადასახადს ახდევინებენ—შემოსავლის ერთ პროცენტს. ეს ხარჯი ქალაქის საზოგადო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გროვდება, მხოლოდ იმისი ერთი მეათედი სკოლას ხმარდება. ამას სხვა შემთხვევითი შემოსავალიც ემატება და ასე მზადდება ყოველთვის საკმაო სასკოლო თანხა.

მე მინდოდა შემეტყო, რამდენად უღირს ნიუიორკს სკოლების შენახვა. ამ აზრით, როგორც მერჩიეს, სამინისტროს მივმართე ღია წერილით და უკანასკნელ წლის ანგარიში ვთხოვე.—აქ ასეთ ანგარიშს (Report) უფასოდ უგზავნიან ყველას, ვისაც უნდა.—მუდამ ოფიციალურობას და მიუკარებლობას მიჩვეულს არ შეიძლება არ გაეცხოვოს შემდეგის ბარათის მიღება: „დიდად ვწუხვარ, რომ თქვენის სურვილის დაკმაყოფილება ამ ჟამად შეუძლებელია; ამ წლის ანგარიში ჯერ არ დაბეჭდილა და გიგზავნით მარტო 1903 წლის ანგარიშს.—თქვენი პატივისმცემელი სახალხო განათლების მინისტრი".

ამ ანგარიშიდან გავიგე, რომ გასულ წელს მარტო ნიუ-იორკის შტატს სკოლისათვის 38 მილიონამდე დოლარი დაუხარჯავს; ეს ჩვენებურად 76 მილიონ მანათს შეადგენს. ამავე ანგარიშში მოყვანილია ცნობები ყოველ ტიპის სკოლის შესახებ. აქვე მოთავსებულია ყველა კანონი, უკანასკნელ წელს სკოლისთვის გამოცემული.

სანამ გავათავებდეთ სკოლაზე საუბარს, საინტერესოდ მიგვაჩნია მოვილაპარაკოთ კიდევ ერთ ცერემონიის შესახებ, რომელსაც სკოლა ასრულებს ყოველ წელიწადს, პირველ მაისს. ამ დღეს აქ ხის დღეს (Arbor day) ეძახიან. ზემოხსენებულ ანგარიშში დაბეჭდილია წერილი შტატის სუპერინტენდენტისაგან სკოლის მოწაფეებისადმი გაგზავნილი. წერილში ახსნილია ამ დღის მნიშვნელობა. აი ეს წერილი.

„ძვირფასო მოწაფეებო! აგერ ბუნებამ გამოიღვიძა ზამთრის ხანგრძლივ ძილისაგან. აქამდის დასვენებული, ახალის ძალ-ღონით სავსე დღეს ეს ბუნება შრომობს; იმისი შრომა კი სასიამოვნო, ნაყოფიერია, ტყე-ველს, მინდორს, ბაღს საამოდ ამკობს. შრომობს ბუნება და ჩვენც გვეუბნება იშრომეთო. ბედნიერია, ბავშვებო, ის, ვინცა შრომობს. შევუერთდეთ ამიტომ დღეს ბუნებას, გავიზიაროთ იმისი შრომა; დავრგოთ ყვავილი, გავიცნოთ მისი მშვენიერება; დავრგოთ ხე, დავსტკბეთ იმის ჩრდილში. კეთილი სიტყვა, კეთილი საქმე ერთმანეთის შეგუთანაბროთ. მე იმედი მაქვს, რომ თვითეული თქვენგანი არა მარტო დღეს, მთელის წლის განმავლობაშიაც მონაწილეობას მიიღებს თავის სკოლის ბაღის შემუშავებაში. დაუახლოვდით ბუნებას, ის წიგნზე უკეთესი მასწავლებელია... თქვენი გულწრფელი მეგობარი, სუპერინტენდენტი კარლ სკინნერი".

ამ გვარად სკოლა სცდილობს ბავშს ბუნების სიყვარული ჩაუნერგოს. ყოველივე სკოლა ვალდებულია ხსენებულ დღეს თავის მოწაფეების ხელით ბაღში ერთი ხე დარგოს. ხშირად ხის დასარგავად რამდენიმე სკოლის მოწაფეები ერთად მიჰყავთ შორს ტყისაკენ; მიჰყავთ მუსიკით, სიმღერით. ხის დღე აქაურ ბავშვებისათვის ფრიად სასიამოვნოა, ამ დღეს ისინი ყოველ წლივ მოუთმენლად ელიან.

ასეთია, მკითხველო, აქაური სკოლა, ასეთია აქ ბავშის აღზრდა.

სეეთი

აგვისტოს, ასე ღამეს 11 საათზე ი. გუმელს თავს დაესხნენ ავაზაკები. ავაზაკებმა სცადეს ოთახში შესვლა, მაგრამ გუმელმა დროიანად ჩაიკეტა კარები და საშინელი ყვირილი ასტეხა. ხმაურობისაგან გამოფხიზლებული მეზობლები მიეშველნენ გუმელს და ხელი შეუშალეს ავაზაკებს, რომელნიც თოფების სროლით გაიქცნენ· უბედურება არა მომხდარა-რა. ბოროტ-მოქმედთ დარჩათ ერთი ყაბალახი და რამდენიმე პატრონა. ამ საქმის თაობაზე ადგილობრივმა ბოქაულმა ყრილობა მოახდინა და დრო დაუდო სოფელს დამნაშავეთა ამოსაჩენად.

ი. დონეშვილი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 სექტემბერი

ჩიფუ, 12 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). პორტ-არტურთან 6 სექტემბერს დაწყებულ ბრძოლის დროს იაპონელებმა აიღეს რამდენიმე საყურადღებო პოზიცია. ამ პოზიციების საშუალებით იაპონელები სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევენ რუსების დიდ სიმაგრეებს, რომელნიც იცავენ ქალაქის ჩრდილოეთ, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეს. ჩინელების სიტყვით, იაპონელებმა ამ ბრძოლაში სამ ათასამდე კაცი დაჰკარგეს. რუსები-კი აცხადებენ, ცნობები მოგვივიდა, რომ იაპონელები ძლიერ დაზარალდნენ, ცხრა ათასამდე კაცი დაჰკარგესო. იაპონელთა მიერ აღებულ სიმაგრეთა შორის ყველაზე უფრო საყურადღებო კუროპატკინის სიმაგრეა. ამ სიმაგრეს დიდი მნიშვნელობა არა აქვს ქალაქის დაცვისათვის: იგი აშენებული იყო წყაროს დასაცველად, საიდანაც მეციხოვნე ჯარს წყალი მიჰქონდა ქალაქისათვის; ეს წყარო ეხლა იაპონელების ხელშია. რამდენსამე ხანს შედარებითი სიწყნარე იყო; ბოლო დროს-კი მცხოვრებლები და მეციხოვნე ჯარი გააღვიძა ზარბაზნების გრიალმა. ისროდნენ იტშანის, ერლუნშანის და ძინგუანშანის ჩრდილოეთით მდებარე ადგილებიდან. ზარბაზნების სროლის შემდეგ იაპონელებმა იერიში მიიტანეს და კიდევ სამი ძლიერი პოზიცია აიღეს. ამას გარდა იაპონელებმა აიღეს მათთვის ნაკლებად გამოსადეგი 6 პოზიცია შუშიანისა და ერლუნშანის შუა. დღე და ღამე 7 სექტემბრის შუადღემდის იაპონელები განუწყვეტლივ უშენდნენ ყუმბარებს პორტ-არტურს. ისეთ ადგილებიდან ისროდნენ ზარბაზნებს, სადაც წინად არტილერია სულ არ ყოფილა. ცხადია, იაპონელებმა მრავალი დიდი ზარბაზანი დადგეს ახალ პოზიციებზე. ამ დროს განმავლობაში ჯარების შეტაკება უმნიშვნელო იყო. 7 სექტემბერს შუადღეზე იერიში მიიტანა იაპონელების მარჯვენა ფრთამ, რომელიც რკინის გზის ჩრდილოეთით იდგა და ცენტრმა, რომელიც რკინის გზის აღმოსავლეთით იდგა. იაპონელებს სანგრები იფარავდა. რუსების პატარა სიმაგრეებმა შუშიანის ჩრდილოეთით, სადაც ცოტა ჯარი იდგა, მცირე წინააღმდეგობა გაუწიეს იაპონელებს. კუროპატკინის სიმაგრიდან რუსებმა ყუმბარები დაუშინეს იაპონელებს. მაგრამ თან და თან სროლა სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა და ბოლოს შეწყდა. იაპონელები მიესივნენ ამ სიმაგრეს და ცხარე ბრძოლის შემდეგ აიღეს. ამ სიმაგრის აღების შემდეგ კიდევ უფრო საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა ერლუნშანი, რომელსაც ეხლა იაპონელები ემუქრებიან ამ ახალ ადგილიდან და პალიჯუანიდან. ნაშუადღევის 5 საათზე იაპონელებმა აიღეს მეორე ხარისხის სიმაგრე, უფრო დაბალ ადგილზე აშენებული. რომელსაც იაპონელები იშშანის მხრიდან ემუქრებოდნენ·

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 12 სექტემბერს: „ბოლო დღეებში იაპონელთა სადარაჯო რაზმები მოუახლოვდნენ კაუტულინის უღელტეხილს, მაგრამ ვერ დაიჭირეს იგი, რადგან სამხრეთის ფრონტზე მყოფმა ჩვენმა მოწინავე რაზმმა წინააღმდეგობა გაუწია იმათ. ყოველ დღე თოფების სროლაა მოწინავე რაზმებს შორის.

12 სექტემბერი

პეტერბურგი. „რუსეთის დეპეშათა სააგენტო"-ს გამგეობა აცხადებს, რომ თუმცა დაარსდა „პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო", მაგრამ „რუსეთის სააგენტო"-ში, არავითარი ცვლილება არ მომხდარა. „რუსეთის დეპეშათა სააგენტო" ყოველ ღონესა ღონობს გააძლიეროს თავისი მოქმედება და გაამრავლოს აგენტების რიცხვი. დღეს სააგენტოს რუსეთსა და საზღვარგარედ 615 ადგილასა ჰყავს აგენტები.

ვაშინგტონი, 11 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). რუზველტმა მიიღო დეპუტაცია პარლამენტის გარეშე მყოფთა კავშირისა. დეპუტაციამ მიართვა პრეზიდენტს კავშირის მიერ შემუშავებული რეზოლუცია. საპასუხო სიტყვაში რუზველტმა სასარგებლოდ სცნო, რომ მოწვეულ იქნას ჰააგის მეორე კონფერენცია. პრეზიდენტმა განაცხადა, ამ ცოტა ხანში მივმართავ სახელმწიფოებს და წინადადებას მივცემ, მოიწვიონ მეორე კონფერენციაო. „უნდა ვეცადნეთ —სთქვა პრეზიდენტმა.—რომ ჰააგაში დაწყებული საქმე დამთავრდესო".

ირკუტსკი, 11 სექტემბერი. საღამოთი ირკუტსკიდან ბაიკალზე გაიგზავნა განსაკუთრებული მატარებელი მოწვეულთათვის. ბაიკალიდან იგზავნება გზათა მინისტრის ორი მატარებელი და ერთიც მოსამსახურეთა მატარებელი. ეს მატარებლები კულტუკში მივლენ საღამოს 6 საათზე.

ბელგრადი, 11 სექტემბერი. წავიდა ჩერნოგორიის მთავრის შვილი დანილო მეუღლით და ამალითურთ. დანილოს ებოძა ორდენი ყარაგიორგის პირველ ხარისხისა.—ლიბერალებმა გადასწყვიტეს, განაახლონ თავიანთი მოქმედება რადიკალთა დასის წინააღმდეგ. ლიბერალთა მეთაურად არჩეულ იქნა რიშარაცი. ავაკუმოვიჩი და გენჩიჩი განდევნილ იქნენ დასიდან, რადგან შეთქმულებაში მონაწილეობა მიიღეს. ლიბერალთა გაზეთი „ზასტავა" 15 სექტემბრიდან გამოვა. დღეს მოიხდება კრება რადიკალთა კლუბისა. კრება დაადგენს, „სამოსტანცები" განშორდნენ რადიკალებს. კრიზისი აუცილებელია.

ბელგრადი. 10 სექტემბერს სასახლეში დეპუტატთა პატივსაცემად გაიმართა საგანგებო სადილი. მეფემ, ჩერნოგორიის ტახტის მემკვიდრის თანდასწრებით, წარმოსთქვა სადღეგრძელო ჩერნოგორიის მთავრისა. მთავარს დეპეშა გაეგზავნა და პასუხიც მოვიდა.

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი ნიუ-მარკეტში ორი სახალხო მატარებელი დაეჯახა ერთმანეთს. ორივე მატარებელი დაიმტვრა.

ვილნო, 12 სექტემბერი. შინაგან საქმეთა მინისტრმა თავადმა სვიატოპოლკ-მირსკიმ შემდეგის სიტყვით მიმართა ებრაელებს: „მოხარული გარ, რომ ეკატერინოსლავის გუბერნიასა და ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეში სამსახურის დროს შეძლება მომეცა გამეცნო ებრაელ მკვიდრთა ნამდვილი საჭიროებანი; ამის გამო შემიძლიან ჯეროვანის მომზადებით მივიღო მონაწილეობა ებრაელთა საკითხის სერიოზულ განხილვაში, რომელიც ამ მოკლე ხანში მოხდება. თქვენგან-კი ველი, რომ გავლენას იქონიებთ ებრაელებზე და ნდობას ჩაუნერგავთ მთავრობის მიმართ. რაც შეეხება თქვენთან სამართლიან დამოკიდებულებას, ამიერიდან მე თვითონ სამართლის წყაროს სათავესთან დავიჭერ ადგილს. ხელმწიფე იმპერატორთან; ამის გამო შეგიძლიანთ ამ მხრივ დამშვიდებულნი იყოთ: სამართლიანობას ყოველთვის მოიპოვებთ".

ნეაპოლი, 11 სექტემბერი („სტეფანის სააგ."). ვეზუვის მოქმედება ძლიერდება. მთა მძლავრად ფეთქავს და დიდ სიმაღლეზე ცეცხლს ისვრის. მავთულის რკინის გზაზე მიმოსვლა შესწყდა. მცხოვრებლები დამშვიდებულნი არიან.

გომელი, 12 სექტემბერი. 11 ოქტომბრისათვის გომელის სასამართლოში განსახილველად დანიშნული საქმე შარშან ებრაელებზე თავდასხმის შესახებ ერთ თვემდე გაგრძელდება. 80 ბრალდებულია: 44 ქრისტიანი და 36 ებრაელი. გამოწვეულია 900 მოწმე. 474 ბრალდებისა და დანარჩენნი ბრალდებულთა დაცვის მხრივ.

ხარკოვი, 12 სექტემბერი. ქალაქის საბჭომ მიიღო წინადადება იოზეფოვიჩისა, რომელიც თავის ხარჯით აშენებს იაფ-ფასიან სადგომებს ღარიბ მუშა ხალხისათვის.

ირკუტსკი, 12 სექტემბერი. მოვიდა კულტუკს საცდელი მატარებელი გზათა მინისტრით, კომისიის წევრებით და გზის ამშენებლებით. ყველანი ეკლესიაში წავიდნენ, სადაც პარაკლისი იქნა გადახდილი; შემდეგ სადილი იყო გამართული საკრებულოში.

მოსკოვი, 12 სექტემბერი. ზოოლოგიურ ბაღში გაიხსნა კონკურსი მებაღეობისა და მებოსტნეობისა. მოსკოვის სამაზრო ერობამ შვიდი ახალი სკოლა გახსნა.

კოპენჰაგენი, 11 სექტემბერი. მალე დასრულდება ჩრდილოეთის სატელეგრაფო საზოგადოების მოლაპარაკება მთავრობასთან კუნძულ ისლანდიამდის ზღვაში სატელეგრაფო მავთულის გაყვანის შესახებ.

პარიზი, 12 სექტემბერი. დაიწყო ცეცხლის მქრობელ რაზმების წარმომადგენელთა კონგრესი.

13 სექტემბერი

ვილნო, 12 სექტემბერი. საღამოს 7 საათზე წავიდა პეტერბურგს შინაგან საქმეთა მინისტრი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი. დიდის ამბით გააცილეს. რკინის გზის სადგურზე თავი მოიყარეს დაწესებულებათა უფროსებმა; დაესწრო ჯარების უფროსად ნამყოფი გენერალ ადიუტანტი გრიპენბერგი, გუბერნატორი და მრავალი მცირე მოხელე. ხალხი ჯარად იდგა სასახლიდან დაწყებული რკინის გზის სადგურამდის. ქალაქის ქუჩები ბაირაღებით იყო შემკული. ზოგიერთ ადგილას სატრიუმფო კამარები იყო შეკრული. ხალხს ყვავილები და ფარნები ეჭირა ხელში, როცა თავადის ეტლი სასახლის ალაყაფის კარებში გამოჩნდა, ხალხს საერთო აღტაცება ეუფლა· განუწყვეტელი „ურა".! ძახილი ისმოდა, სანამ თავადი სადგურამდე მივიდოდა. მოედნებზე და ქუჩებში ათასობით იდგა ხალხი. ოსტრობრამის კარები, სადაც ღვთის მშობლის ხატი ასვენია. რომელსაც ხალხი პატივსა სცემს, ყვავილებითა და ფარნებით იყო შემკული, კათოლიკეს სამღვდელოების თაოსნობით. რკინის გზის სადგურზე მეორე არმიის უფროსის მეუღლემ მიართვა თავადს თიგული სამხედრო პირების მეუღლეთა სახელით, რომელნიც სადგურზე იყვნენ თავმოყრილნი მრავალი ხალხი გარს შემოეხვია თავადს სადგურზე და გზას უღობავდა. პოლიცია სამაგალითოდ იცავდა წესიერებას და არ უშლიდა ხალხს ახლოს მისულიყო თავადთან, რომელსაც ყოველ მხრიდან აყრიდნენ ყვავილებს. როცა მატარებელი დაიძრა, გაისმა აღტაცებული „ურა".ს ძახილი და ხალხი გაიქცა მატარებლის გასაცილებლად, ბევრნი ტიროდნენ. ერთმა მოხუცებულმა ადგილობრივმა მემამულემ, „რომელიც თერთმეტ გენერალ-გუბერნატორის გაცილებას დასწრებია, სთქვა, ამგვარი ამბავი ჯერ ქალაქ ვილნოს არ უნახავსო. ხალხის აღტაცებას სტიქიური ხასიათი ჰქონდა,

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქ. თელავში რუსის ოჯახ› იყვანს [illegible] ბავშვს გიმნაზიასა ანუ კადეტთა კორპუსისათვის მოსამზადებლად.
ადრესი იკითხეთ ქ. თელავის ხაზინაში ბ-ნ სერებრიაკოვთან. (3—288—3)

პაქროშის სამუდამოთ მოსპობის გამო ვყიდი მუზიკალურ იარაღებს, ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდა შეთანხმებით. კიროჩნის ქუჩა, აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების გვერდით, ტფილისი, ვ. პელლინო. (10—309—1)

ალექ. კოსტავას
მაღაზია ქუთაისში,
ბულვარის პირდაპირ სობორის გვერდით
იყიდება ყოველგვარი შეკერილი ევროპიული ტანისამოსები, მაგალითად: პალტოები ათი მანეთიდან ოცდა თხუთმეტ მანეთამდე, მთელი კოსტიუმი 10 მანეთიდან 35 მანეთამდე, შარვლები, კრახმალიანი პერანგები, ზაპონკები, ტროსტები და ყოველგვარი თეთრეული. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ ევროპიულ ტანისამოსებისა და იყიდება არშინობით საზღვარგარეთული და რუსული მატერიები.
ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრე კოსტავა. (8—5)

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს.-ძე რიჟინაშვილი
პუშკინის ქუჩა, № 10, სახლი იაკ. გოკიელოვისა მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. (30—3512—18)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი 1882 მოსკოვი 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

• **კალოშებისა**

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო
Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურიას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წლიწადს „1860" და სიტყვას „С.-Петербургъ" წითელ სამკუთხში [illegible] ბრიკის ნიშანი[illegible]
ნარდ ათ ვაჭ[illegible] აწარმოვებს [illegible] ჭრო ხახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი"
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკსა, ტაშკენტში. და **ტფილისს**

(60—33)

Дозв. цензурою 13 сентября 1904 г. ელექტრონის სტამბა „წიგნების გამომც. ქართ. ამ—ბა." Электроп. „Груз. Изд. Т—ва"